

# საქართველოს ელექტროლი ქსელის გაძლიერების პროექტი

ქვეყანა:

საქართველო

პროექტის ნომერი:

51422

ბიზნეს სექტორი:

ენერგეტიკა

შეტყობინების ტიპი:

საჯარო

საბჭოზე გატანის თარიღი:

24 ივნისი 2020

სტატუსი:

საბჭოზე გატანილი არ არის

გამოქვეყნების თარიღი:

07 ოქტომბერი 2019

## პროექტის აღწერა:

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ევრობანკი) განიხილავს სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის დაფინანსების საკითხს; დაფინანსების ოდენობა 90 მილიონ ევროს შეადგენს და ის საქართველოს ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის გაძლიერებას ემსახურება. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოში სტაბილური, საიმედო, ეკონომიკურად და ტექნიკურად ეფექტური ეროვნული ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, როგორც კრიტიკულ კომპონენტს ეფექტური ბაზრის ინფრასტრუქტურასა და ელექტროენერგიით ვაჭრობაში.

## პროექტის მიზნები

პროექტის მიზანია სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მხარდაჭერა ეროვნული ელექტროგადამცემი ხაზების გაძლიერების პროექტში, რომელიც 4 კომპონენტს მოიცავს: (1) 500კვ ელექტროგადამცემი ხაზის „წყალტუბო-ახალციხე-თორთუმი“-ს მშენებლობა; (2) ჩრდილოეთის რგოლის მშენებლობა; (3) გურიის რეგიონში ინფრასტრუქტურის გაძლიერება; და (4) კახეთის რეგიონში

ინფრასტრუქტურის გაძლიერება. ბანკის დაფინანსება ჩრდილოეთის რგოლის მშენებლობას მოხმარდება, რომელიც მოიცავს შემდეგი კომპონენტების მშენებლობას: (1) 57 კმ სიგრძის ორჯაჭვა 220 კვ ეგზ ნენსკრა-მესტია; (2) 500 კვ ქს ჯვარის გაფართოება; (3) 500/220/110 კვ ქვესადგური ნენსკრა, (4) 2 კმ სიგრძის 500 კვ ეგზ „კავკასიონის“ შეჭრა ქვესადგურ „ნენსკრაში“; (5) 50 კმ სიგრძის 500 კვ ეგზ ლაჯანური-წყალტუბო; (6) 60 კმ სიგრძის ორჯაჭვა 220 კვ ეგზ წყალტუბო-ნამახვანი-ტვიში-ლაჯანური; და (7) 220 კვ ქს წყალტუბოს გაფართოება.

## ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი

პროექტი ბანკის მწვანე ეკონომიკური გარდაქმნის (GET) ინიციატივასთან თანხვედრაშია. ის ხელს შეუწყობს ახალი განახლებადი ენერგიის წყაროების, განსაკუთრებით ჰიდრო და ქარის ენერგიაზე მომუშავე სადგურების, სისტემაში ინტეგრირებას. პროექტი ასევე ხელს უწყობს საქართველოს ენერგეტიკის სექტორს, მიწოდების წყაროების სანდოობის გაძლიერებით.

## ინფორმაცია კლიენტის შესახებ

საქართველოს მთავრობა

მსესხებელი საქართველოს მთავრობაა, რომელიც, თავის მხრივ, სესხს გასცემს სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაზე, რომელიც ფლობს და მართავს ელექტროგადამცემ ქსელს.

## EBRD-ის დაფინანსება

90,000,000 ევრო.

## პროექტის ჯამური ღირებულება

267,000,000 ევრო.

პროექტის წინასწარი ღირებულება სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ მომზადებული 10 წლიანი ელექტროგადამცემი ხაზის განვითარების გეგმის მიხედვით 267 მილიონ ევროს შეადგენს. პროექტის თანადაფინანსებას 120 მილიონი ევრო ოდენობით KfW და გერმანიის ფედერაციის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტრო უზრუნველყოფს. ევროკავშირის NIP პროგრამის ფარგლებში პროექტის დასაფინანსებლად დამატებით 10 მილიონი ევროს ოდენობის გრანტი გამოიყო.

## გარემოსდაცვითი ეფექტი

ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობისა და მართვით გარემოზე გამოწვეული შესაძლო ეფექტის გათვალისწინებით, ევრობანკის 2018 წლის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის მიხედვით პროექტს მინიჭებული აქვს A კატეგორია.

გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება მოიცავდა გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების კვლევის ანალიზს, რომელიც პროექტისთვის ჩატარდა.

კვლევა ითვალისწინებს მთლიან პროექტს და მოიცავს ჩრდილოეთის რგოლის კომპონენტს რომელიც ბანკის მიერ დაფინანსდება. კვლევა მომზადდა საერთაშორისო და ადგილობრივი კონსულტანტების მიერ ევრობანკის შესრულების მოთხოვნების (PR) შესაბამისად.

პროექტის საჯარო განხილვა გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების კვლევის Scoping-ის ეტაპზე ჩატარდა. გამოქვეყნებული დოკუმენტების სია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმას, არატექნიკურ რეზიუმეს, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმას, და მიწის შესყიდვის, ფიზიკური განსახლებისა და კომპენსაციის ჩარჩოს მოიცავს. აღნიშნული დოკუმენტები 2019 წლის 9 აგვისტოს სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის და ევრობანკის ვებ გვერდებზე განთავსდა. გამოქვეყნებული პაკეტის ნაბეჭდი ასლები პროექტში მოქცეულ მუნიციპალურ ცენტრებში, ხოლო არატექნიკური რეზიუმე თითოეულ გამგეობაში დარიგდა. პროექტის ფარგლებში, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის თანახმად, რამდენიმე საჯარო განხილვა ჩატარდა, პროექტზე საზოგადოების აზრის დაფიქსირებისთვის.

პროექტის გარემოსა და სოციალური ზემოქმედების შემცირებისთვის, ელექტროგადამცემი ხაზების რამდენიმე ალტერნატიული მარშრუტი განიხილა. გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების კვლევა ასევე მოიცავდა იმ შესაძლო ზემოქმედების ანალიზს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროექტის დეტალური დიზაინის შემუშავების დროს მიღებული ცვლილებებისა და პროექტის განხორციელების დროს ეგზ მარშრუტზე აშენებული დროებითი კონსტრუქციების მიერ.

ჩატარებული ალტერნატიული მარშრუტის ანალიზი და შერჩეული მარშრუტი არ იძლევა ევრობანკის მიერ დაფინანსებული კომპონენტის ფიზიკური განსახლების გარეშე ჩატარების შესაძლებლობას. ელექტროგადამცემი ხაზების უსაფრთხო მართვის მოთხოვნებიდან გამომდინარე, პროექტის ფარგლებში მოსალოდნელია 7 ოჯახის ფიზიკური განსახლება. პროექტი მოიცავს 33 კმ ფართობის მიწის შესყიდვისა და 1500 კმ ფართობზე მიწის გამოყენების შეზღუდვას. ნახსენებ მიწის ფართობზე სოფლის მეურნეობის საქმიანობა თანდართული იქნება. განსახლებისა და მიწის შესყიდვის ჩარჩო შემუშავდა განსახლების მართვისთვის. პროექტის ფარგლებში, ასევე მომზადდება და დაინერგება ფიზიკური განსახლების გეგმა. ელექტროგადამცემი ხაზების დიზაინი შემუშავდა ელექტრო და მაგნიტური ველების საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მიერ განსაზღვრული ოდენობის შესაბამისად.

ერთ-ერთი ხაზი სვანეთის მნიშვნელოვანი ფრინველების ზონაში გაივლის, ამის გამო ორივე კომპონენტზე ბიომრავალფეროვნების დაცვისთვის აუცილებელი ელემენტები განისაზღვრა. ეგზ-სთვის საჭირო ადგილმდებარეობის მომზადების დროს, ადგილი ექნება საცხოვრებელი გარემოს დაკარგვას; მოსალოდნელია რომ მშენებლობა ხელს შეუშლის ფაუნას და არსებობს კონკრეტულ მტაცებელ ფრინველებზე ზემოქმედების რისკი, ეგზ-ის ნაგებობებთან შეჯახების რისკიდან გამომდინარე.

ალტერნატიული მარშრუტების შესწავლის გარდა, ბიომრავალფეროვნების დაცვისთვის, პროექტში გათვალისწინებულია ისეთი დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები, როგორებიცაა: ბიომრავალფეროვნების სპეციალისტების მიერ სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა, სეზონური შეზღუდვები გარკვეულ სამშენებლო სამუშაოებზე, სარეველა მცენარეების მოშორება და აღდგენითი სამუშაოები, ასევე გამწვანების მართვის გეგმის შემუშავება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით. პროექტის

ფარგლებში, ფრინველების შეჯახების მაღალი რისკის მქონე ადგილებზე, ეგზ-ზე და შესაბამის ინფრასტრუქტურაზე დაყენდება შეჯახების საწინააღმდეგო მოწყობილობები

პროექტის ფარგლებში საჯარო განხილვები ჩატარდა. დაინტერესებული მხარეების მიერ წამოჭრილი საკითხები განსახლებასა და კომპენსაციასთან დაკავშირებით გათვალისწინებული იქნება ფიზიკური განსახლების დეტალურ გეგმაში; დეტალური დიზაინის შემუშავების დროს განხილული იქნება ე.წ. ვიზუალური ეფექტი; და შეზღუდვები მიწის სარგებლობასთან დაკავშირებით დამატებით იქნება განხილული განახლებულ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმაში. კომპანია გააგრძელებს შემდგომი კონსულტაციების ჩატარებას დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მიხედვით.

პროექტის ფარგლებში მომზადდა გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების მართვის გეგმა და ის მოიცავს პასუხისმგებლობას გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის კუთხით. პასუხისმგებლობა ეკისრება საპროექტო კომპანიას, სამშენებლო კონტრაქტორებს და მოიცავს შემარბილებელ ღონისძიებებს მშენებლობისა და ოპერირების პერიოდში. სამშენებლო კონტრაქტორები ვალდებული იქნებიან შეიმუშაონ შესაბამისი დანერგვის გეგმები. გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების მართვის გეგმა ითვალისწინებს მექანიზმს პროექტის დიზაინის ცვლილებების დანერგვის თაობაზე (მაგალითად დეტალური დიზაინის შემუშავების სტადიაზე). ამ ცვლილებების განხორციელება მოხდება შემუშავებული მართვის გეგმებისა და საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ღონისძიებების საფუძველზე.

გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების აქტივობების გეგმა (ESAP), რომელიც სხვა ინფორმაციასთან ერთად მოიცავს ზემოაღნიშნულ შემარბილებელ ღონისძიებებს, შემუშავდა და საჯარო გახდა გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პაკეტთან ერთად. მთლიანობაში, გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების აქტივობების გეგმაში მოცემული ღონისძიებების და შეფასების დროს დაგეგმილი აქტივობების შესრულების შემდგომ, პროექტი სტრუქტურირებულია ევრობანკის შესრულების მოთხოვნების (PR) შესაბამისად.

ბანკი რეგულარულად უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი და სოციალური აქტივობების შესრულების მონიტორინგს პროექტის მშენებლობის პერიოდში. საჭიროებიდან გამომდინარე, მონიტორინგი პროექტის ოპერირების პერიოდში გაგრძელდება.

პროექტისთვის ხელმისაწვდომია [გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება](#).

## ტექნიკური თანამშრომლობა

გამორესდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება დაფინანსდა ევრობანკის აქციონერების სპეციალური ფონდის მიერ (SSF).

## კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ეკატერინე ვერულაშვილი

[info@gse.com.ge](mailto:info@gse.com.ge)

+(99532) 2 510 202

+(99532) 2 98 37 04

<http://www.gse.com.ge>

ბარათაშვილის ქ. 2, თბილისი, საქართველო, 0105.

## დაკავშირებული დოკუმენტაცია

- [გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება](#)  
გამოქვეყნებულია: 09.08.2019

### ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე, გთხოვთ, დაუკავშირდეთ კომპანიას.

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისათვის, დაუკავშირდით EBRD-ის შესყიდვების დეპარტამენტს (<http://www.ebrd.com/work-with-us/procurement.html>) :

ტელ: +44 20 7338 6794;

ელ-ფოსტა: [procurement@ebrd.com](mailto:procurement@ebrd.com)

### ზოგადისაკითხები

EBRD-ის პროექტებთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაციის მისაღებად, რომელიც არ უკავშირდება შესყიდვებს, დაუკავშირდით: ტელ: +44 20 7338 7168 ელ-ფოსტა: [projectenquiries@ebrd.com](mailto:projectenquiries@ebrd.com)

## ინფორმაციის საჯაროობის პოლიტიკა (PIP)

ინფორმაციის საჯაროობის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია ევრობანკის მიერ

ინფორმაციის გავრცელებისა და აქციონერებთან კონსულტაციების ისეთი გზები, რომლებიც ხელს შეუწყობს ევრობანკის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრებას.

[ინფორმაციის საჯაროობის პოლიტიკის დოკუმენტის ტექსტი](#)

## პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (PCM)

პროექტის გასაჩივრების მექანიზმი EBRD-ის ანგარიშგების მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს ფიზიკური პირებისა თუ ორგანიზაციების საჩივრების დამოუკიდებელი განხილვის შესაძლებლობას. საჩივრები უნდა ეხებოდეს ევრობანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებს, რომლებმაც გამოიწვიეს ან შესაძლოა, გამოიწვიონ გარემოსდაცვითი და/ან სოციალური ზიანი. საჩივრის შეტანის პროცედურების გასაცნობად, გთხოვთ, ესტუმროთ პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ვებგვერდს. საჩივრის შეტანასთან, ისევე როგორც რეგისტრაციისა და დაშვებადობის კრიტერიუმებთან დაკავშირებული კითხვებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ საჩივრების ოფიცერს ([pcm@ebrd.com](mailto:pcm@ebrd.com)), გასაჩივრების მექანიზმის პროცედურის წესების შესაბამისად.